



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის მედიის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტრატეგიული კომუნიკაცია
--------------------------------------	-------------------------

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Strategic Communication
---	-------------------------

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	მაგისტრატურა
---	--------------

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
--------------------------------	------------

სწავლების ენა	ქართული
---------------	---------

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
---------------------------------	--

ქართულად:	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი (0414)
-----------	---

ინგლისურად:	Master in Public Relations (0414)
-------------	-----------------------------------

პროგრამის დამტკიცების თარიღი	ბრძანება N01/05-111; 07/08/2009
------------------------------	---------------------------------

პროგრამის განახლების თარიღი	ბრძანება N01/05-111; 07/08/2009 ბრძანება N01/01-24; 27/09/2012 ბრძანება N01/01-18; 25/01/2014 ბრძანება N 01/01-30; 19/02/2019 ბრძანება N 01/01-22; 14/04/2020 ბრძანება N01/01-44 02.07.2021
-----------------------------	--

პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ხელმძღვანელი: ნატა ასათიანი, ასოცირებული პროფესორი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
--	---

პროგრამის მოცულობა

კრედიტებით

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. I წელიწადი - 60 კრედიტი, II წელიწადი - 60 კრედიტი. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით და მოიცავს პირველ (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრებს. თითოეული სემესტრი მოიცავს 30 კრედიტს.

საჭიროების შემთხვევაში დაშვებულია ზაფხულის სემესტრის ორგანიზება, თუმცა სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიპოვოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, გამოცდა და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

სტრატეგიული კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები:

➤ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი: 56 ECTS;

- კომუნიკაციის ფსიქოლოგია
- მარკეტინგი
- მენეჯმენტის კონცეფციები: თეორია და პრაქტიკა
- ბრენდის შექმნა და მართვა
- CSR და ორგანიზაციული კომუნიკაცია
- სტრატეგიული კომუნიკაცია
- ციფრული კომუნიკაცია
- პროექტების მართვა
- კრიზისული კომუნიკაციების მართვა

➤ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი: 23 ECTS;

- ვიზუალური კომუნიკაცია
- მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია
- რეკლამის თეორია და პრაქტიკა
- პოლიტიკური კომუნიკაცია
- ინტერკულტურული კომუნიკაცია
- საინფორმაციო ოპერაციები და სტრატეგიული კომუნიკაცია
- მედიასთან ურთიერთობა
- ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა
- ბრენდის ჟურნალისტიკა
- საველე პრაქტიკა

- თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი: 11 ECTS;
 - აკადემიური წერა 5
 - კვლევის მეთოდები და კვლევები მედიაში 6

- კვლევის მოდულს: 30 ECTS;
 - სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა

მოდულებში საგნების თანმიმდევრობა ემსახურება პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას და სტუდენტის მიერ დარგში ღრმა ცოდნის, ეფექტური პრაქტიკული უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

კავკასიის მედიის სკოლის სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ხარისხი, საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები, ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტი და შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება კომისიასთან. სამაგისტრო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა (გასაუბრება) ტარდება კავკასიის მედიის სკოლის საბჭოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები და პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი ინფორმაცია წინასწარ თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის კავკასიის მედიის სკოლის სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე გადმოსვლის სურვილის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლიან და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის დეკანი. მათ მიერ შეთანხმებული შესაბამისობის საფუძველზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	<p>სტრატეგიული კომუნიკაცია, როგორც დარგი, რამდენიმე ათეული წელია განსაკუთრებით განვითარდა. მასზე მნიშვნელოვნად გახდა დამოკიდებული სხვადასხვა სფეროში მომუშავე კომპანიებისა თუ პირების წარმატება. დარგის განვითარებისა და ამ სფეროს სპეციალისტებზე გაზრდილი მოთხოვნის პარალელურად, კავკასიის მედიის სკოლა მიზნად ისახავს სტრატეგიული კომუნიკაციის სპეციალისტების - ამ სფეროს კვალიფიციური წარმომადგენლების მომზადებას.</p> <p>სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის მიზნებია:</p> <p>მიზანი N1: კურსდამთავრებულს ჰქონდეს სტრატეგიული კომუნიკაციის თეორიული, სისტემური და სიღრმისეული ცოდნა.</p> <p>მიზანი N2: კურსდამთავრებულს ჰქონდეს პრაქტიკული უნარები სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში სამუშაოდ: შეძლოს სტრატეგიული საკომუნიკაციო დოკუმენტის შემუშავება, აღსრულება და მონიტორინგი, ინტეგრირებული მარკეტინგის, მედიასთან ურთიერთობების, ციფრული მედიის, რეკლამისა და მენეჯმენტის ცოდნის საფუძველზე.</p> <p>მიზანი N3: კურსდამთავრებულს ჰქონდეს მენეჯერული უნარები, შეძლოს იყოს ლიდერი გუნდში; ჰქონდეს უნარი, რომ სწრაფად ადაპტირდეს სფეროში არსებულ სიახლეებთან, დანერგოს და განავითაროს კრეატიული იდეები.</p> <p>მიზანი N4: კურსდამთავრებულს ჰქონდეს კვლევის წარმოებისა და შედეგების ანალიზის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები.</p> <p>მიზანი N5: კურსდამთავრებულს გააზრებული ჰქონდეს საზოგადოების წინაშე არსებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რასაც სფეროში არსებული გამოწვევები მას აკისრებს. იცოდეს მისი, როგორც სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტის როლი დემოკრატიული საზოგადოების განვითარების პროცესში.</p> <p>პროგრამის მიზანი სრულ თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სკოლის მიზნებსა და სტრატეგიასთან.</p>
-------------------------	--

<p>პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p>პროგრამა ამზადებს სფეროს ფართო პროფილის სპეციალისტებს, რომლებსაც პროგრამის დასრულების შემდეგ ექნებათ მისი მიზნების შესაბამისი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <p>შედეგი N1: კურსდამთავრებული იყენებს სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას, აცნობიერებს სფეროში არსებულ გამოწვევებს, სწრაფად იაზრებს და იყენებს ნოვაციებს.</p> <p>შედეგი N2: კურსდამთავრებული გამოიმუშავებს კომუნიკაციის სფეროს სპეციალისტისთვის საჭირო ყველა კომპეტენციას, მათ შორის: მაღალ დონეზე, აკადემიური წერის სტანდარტების სრული დაცვით, ქმნის საჭირო დოკუმენტებსა და ვერბალურ თუ ვიზუალურ პრეზენტაციებს.</p> <p>შედეგი N3: კურსდამთავრებული მაღალი პროფესიული სტანდარტით გეგმავს, აღასრულებს და აფასებს პიარ კამპანიებს. ამისთვის ის კომპლექსურად და სიღრმისეულად აანალიზებს კომუნიკაციის სფეროს მახასიათებლებს. მედიასთან ურთიერთობის, მარკეტინგის, ციფრული მედიისა და რეკლამის სფეროების ცოდნასა და საჭირო პრაქტიკულ უნარებს იყენებს სხვადასხვა სექტორისთვის: პოლიტიკისთვის, ბიზნესისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და ა.შ.</p> <p>შედეგი N4: კურსდამთავრებულს უყალიბდება სფეროში მომუშავე მენეჯერისთვის საჭირო უნარები, მათ შორის: უძღვება და მართავს პროექტებს; სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს, ითვალისწინებს და შეიმუშავებს ნოვატორულ, ორიგინალურ და კრეატიულ იდეებს.</p> <p>შედეგი N5: კურსდამთავრებული გეგმავს და ახორციელებს აკადემიურ კვლევას - აწარმოებს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კვლევას და ამ ცოდნას იყენებს პრაქტიკაში; ასევე, აანალიზებს სხვისი კვლევის შედეგებს და იყენებს მათ სტრატეგიულ საკომუნიკაციო დოკუმენტზე მუშაობისას.</p> <p>შედეგი N6: კურსდამთავრებული აანალიზებს, იზიარებს და იცავს სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროსა და პროფესიაში არსებულ ღირებულებებსა და ნორმებს; თავისი საქმიანობით ის ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დანერგვასა და პოპულარიზაციას, საკუთარი წვლილი შეაქვს ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაში.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს როგორც სტრატეგიული კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროში, ასევე კომუნიკაციის მომიჯნავე მიმართულებებშიც - მარკეტინგში, სარეკლამო სფეროში. ასევე, პროფილურ კვლევით პროექტებსა და ორგანიზაციებში. კურსდამთავრებულს ექნება შესაბამისი ცოდნა, უნარები, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, რომ იმუშაოს საჯარო</p>

	დაწესებულებებშიც, კერძო კომპანიებშიც, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებშიც. ასევე, პიარ და მარკეტინგულ კომპანიებში, სარეკლამო სააგენტოებსა და პროექტებში.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	
<p>შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.</p> <p>სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.</p> <p>შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.</p> <p>სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში</p>	

განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება 100 ქულით, ერთჯერადი შეფასების პრინციპის დაცვით. შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები მოცემულია შესაბამისი სკოლის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ დებულებაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

პროგრამის აღსრულებისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

1. **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:** მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვა. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ მას.
2. **წერითი მუშაობის მეთოდი:** ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვა.
3. **ლაბორატორიული მეთოდი:** საკლასო სამუშაოები, ვიდეომასალების ჩვენება და ა.შ.
4. **პრაქტიკული მეთოდი:** სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს აქტივობებს: პრაქტიკულ დავალებებს, საველე სამუშაოებს და ა. შ.
5. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი:** სტუდენტი მსჯელობს მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
6. **დისკუსია/დებატები:** ინტერაქტიული სწავლების მეთოდი, სტუდენტთა ჩართულობის

- ხარისხისა და აქტივობის ასამაღლებლად, რომელიც მათ საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გამოთქმის, სხვისი აზრის მოსმენისა და კამათის უნარებს უვითარებს.
7. **როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი:** ლექციაზე ვითარდება კონკრეტული სცენარი, სტუდენტს კი როლური თამაშები საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს, ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ეს მეთოდიც სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარებს უყალიბებს.
 8. **ჯგუფური მუშაობა:** მეთოდი გულისხმობს სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობისთვის მათ ჯგუფებად დაყოფას და ისეთი სასწავლო დავალების მიცემას, რომლის ფარგლებშიც ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს/მის სხვადასხვა კომპონენტს, უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს და პროდუქტს წარმოადგენენ ერთობლივად.
 9. **შემთხვევის ანალიზის მეთოდი:** ლექტორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე კონკრეტულ შემთხვევებს განიხილავს. ეს კი განხილული საკითხის ყოველმხრივ და საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას იძლევა. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარები.
 10. **დემონსტრირების მეთოდი:** გულისხმობს ინფორმაციის აუდიო თუ ვიზუალურად წარმოდგენას. მასალის დემონსტრირება შესაძლებელია მოხდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. მეთოდი ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს, თვალსაჩინოს ხდის სასწავლო მასალას და ეხმარება სტუდენტებს იმის აღქმაში, თუ რისი შესრულება მოუწევთ მათ დამოუკიდებლად.
 11. **ევრისტიკული მეთოდი:** ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. პროცესი მიმდინარეობს სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით.
 12. **ინდუქციური მეთოდი:** ცოდნის გადაცემის ფორმა, როდესაც სწავლის პროცესი ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
 13. **დედუქციური მეთოდი:** ცოდნის გადაცემის ფორმა, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმართავს, ანუ პროცესს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
 14. **ანალიზის მეთოდი:** სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლა, რაც ამარტივებს რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების აღქმას.
 15. **სინთეზის მეთოდი:** ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენა, რომელიც ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
 16. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება:** პედაგოგი და სტუდენტი აქტიურად არიან ჩართულნი სწავლების პროცესში და განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
 17. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია:** მეთოდი აერთიანებს ისეთ სასწავლო-შემეცნებით ხერხებს, რომელთა გამოყენების დროსაც სტუდენტი მოქმედებს დამოუკიდებლად და შედეგად მიღებულს წარმოადგენს პრეზენტაციის სახით. პროექტზე მუშაობა არჩეული საკითხის შესაბამისად მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და

შედეგების წარმოდგენის ეტაპებს. პროექტი შესაძლოა შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად, ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. ის შესრულებულად ითვლება, თუ შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. დასრულებული პროექტი შესაძლოა წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

18. **ელექტრონული სწავლება:** მეთოდი გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. სწავლების პროცესის კომპონენტების (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვა) რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. წარმოდგენილ პროგრამაში გამოიყენება ელექტრონული სწავლების მეთოდის “დასწრებული” (სინქრონული) ფორმა, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
19. **გონებრივი იერიში:** პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს კონკრეტული საკითხის შესახებ რაც შეიძლება მეტი რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და მათი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

**პროგრამის განხორციელებაში
მონაწილე პირები**

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის აღსრულებაში ჩართულია აკადემიური (8) და მოწვეული (14) პერსონალი:

პროფესორი:

1. ნინო ჟიჟილაშვილი
2. გიორგი დათუკიშვილი
3. ირინე ცინცაძე

ასოცირებული პროფესორი:

4. ნატო ასათიანი
5. ირინე ტაბუციძე
6. ელენე ჯღარკავა
7. სოფიო კვინტრაძე

ასისტენტ-პროფესორი:

8. ქეთევან ინწკირველი

მოწვეული ლექტორი:

9. გიორგი კალატოზიშვილი
10. ელდარ პირმისაშვილი

11. მარიამ ბაჯელიძე
12. ანა გოგიჩაძე
13. მაია გიორბელიძე
14. ნინო გორგაძე
15. თამარ რობაქიძე
16. მიხეილ კოტეტიშვილი
17. თინათინ ბასილაშვილი
18. ნიკოლოზ ნერგაძე
19. ირინე კურტანიძე
20. თინათინ ხიდაშელი
21. სალომე მოდებაძე
22. ბერდია ნაცვლიშვილი

პროგრამის სხვა რესურსები

საერთაშორისო ურთიერთობები და ინტერნაციონალიზაცია:

კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის მედიის სკოლის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია საერთაშორისო ურთიერთობები და ინტერნაციონალიზაცია. პროცესს სკოლასთან ერთად გეგმავს და მართავს კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. ამ მომენტისთვის მოქმედია ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმი - 54 ქვეყნის 163 უნივერსიტეტთან, რომელთა ფარგლებშიც 9 უნივერსიტეტთან გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა შეუძლიათ კავკასიის მედიის სკოლის სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებსაც, რადგანაც ამ კონკრეტულ პარტნიორებს ჩვენ მიერ წარმოდგენილ პროგრამასთან აქვთ გარკვეული თანხვედრა:

1. Budapest Metropolitan University - Communication and Media Science
2. FH JOANNEUM University of Applied Sciences - Public Communication
3. Istanbul Bilgi University- Media Communication
4. Amity University Dubai- Mass Communication
5. Adam Mickiewicz University- Social Communication
6. Baltic International Academy- Strategic Communication
7. Fairleigh Dickinson University, USA- Arts in Communication
8. International University Travnik- Communications
9. University of Saint Joseph- Communication and Media

პარტნიორები:

კავკასიის უნივერსიტეტში მუშაობს კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, რომლის მიზანია, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაცია მიაწოდოს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების საჯარო და ექსკლუზიური ვაკანსიების შესახებ, ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ-კარიერულ წინსვლას, განვითარებას.

კავკასიის უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული 170 პარტნიორთან. მათ შორის დამსაქმებელ სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო

კომპანიებთან. მემორანდუმები ეხება სტუდენტების სტაჟირებასა და დასაქმებას. ამ მემორანდუმების ფარგლებში კავკასიის უნივერსიტეტის დასაქმების ცენტრი მუდმივად იღებს პარტნიორებისგან შეთავაზებებს, აწვდის სტუდენტებსა და კურდამთავრებულებს დამსაქმებელთა წინადადებებს, ეხმარება პარტნიორებს კადრების შერჩევაში. დამატებით, კავკასიის მედიის სკოლას თანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული ისეთ კომპანიებთან და PR სააგენტოებთან, სადაც სტუდენტებს სტრატეგიულ კომუნიკაციაში და მომიჯნავე მიმართულებებში შეუძლიათ პრაქტიკის გავლა. პარტნიორთა შორის არიან:

- „საქპატენტი“
- “ინოვა”
- „პერიტუს ჯგუფი“
- “სან პეტროლიუმ ჯორჯია”
- “გლობალ ბენეფიტს ჯორჯია”
- “ას ჯორჯია”
- “ივენთშოპი”
- “აიდიეს ბორჯომი საქართველო”
- “ანაგრამა”
- “ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია”
- პიარ სააგენტო “ფაბლისითი გრუპი”
- სარეკლამო სააგენტო “BetterFly”
- პიარ სააგენტო სსიპ “სტრატეგიული კომუნიკაციის ცენტრი”
- “ტვ პირველი”
- “რადიო თავისუფლება”
- “არტარეა ტვ”
- “პალიტრა TV”
- სტუდია “რე”
- რადიო “პალიტრა” (შპს “ნიუსრუმი”)
- სააგენტო “ინტერპრესნიუსი” (შპს “ახალი ამბები”)
- ნეტგაზეთი +
- გაზეთი “კვირის პალიტრა”
- გაზეთი “ბათუმელები”
- საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია
- ჟურნალი “სითი”

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

მატერიალური ბაზა

კავკასიის უნივერსიტეტმა 2017-18 სასწავლო წელს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძო მის კუთვნილ ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, პაატა სააკაძის N1-ში. შენობის ჯამური ფართი შეადგენს 11.179 კვ.მ.-ს, საიდანაც 5.021 კვ.მ. სასწავლო ფართია. აღნიშნული შენობის სარემონტო სამუშაოებსა და ახალი ინვენტარით აღჭურვაში, ასევე, ეზოს გამწვანებასა და მოწყობაში განხორციელდა 12 მლნ ლარის ინვესტიცია. უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: 63 აუდიტორია, 170 კვ.მ.-მდე ფოეი, საკონფერენციო დარბაზი,

სარეკრეაციო სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები, სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა (265 კვ.მ.), საპროფესორო, ლაბორატორიები, არქივი, წიგნის მაღაზია „ლიბრარია“, 2 კაფეტერია (380 კვ.მ.). აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. კავკასიის მედიის სკოლას დამატებით აქვს სტუდია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით (დეტალები ქვემოთ).

უნივერსიტეტს აქვს ელექტროენერჯის მიწოდების ეფექტური სისტემა, შენობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია მუდმივი განათებითა და ვენტილაციით, სივრცეებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. კავკასიის უნივერსიტეტის ტერიტორია ადაპტირებულია შშმ პირებისთვის (პანდუსები, ლიფტები და სხვა). ყველა სასწავლო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე, ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, უნივერსიტეტის ტერიტორიას იცავს დაცვის სამსახური “მაგისტრი”, შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეოკამერები. შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სამეციდინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი. აუდიტორიები აღჭურვილია ტექნიკითა და სასწავლო ინვენტარით (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა, თეთრი დაფა, მერხი, სკამი).

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტი იყენებს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შესაბამისად, შესაძლებლობით სარგებლობენ კავკასიის მედიის სკოლის სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი:

- ✓ სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამების განხორციელებასა და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რითაც კავკასიის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას;
- ✓ კავკასიის უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით. შენობის B და C სართულებზე მუშაობს შვიდი კომპიუტერული კლასი, რომლებიც დაკომპლექტებულია პერსონალური კომპიუტერებითა და მულტიმედია პროექტორებით. ასეთივე პროექტორებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია, კომპიუტერებით - ბიბლიოთეკაც. ადმინისტრაცია და თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან პერსონალური კომპიუტერებითა და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის

საკომპიუტერო პარკი შეადგენს 350 ერთეულზე მეტ კომპიუტერს. ამას ემატება ორგტექნიკა - პრინტერები, სკანერები, რამდენიმე ე.წ. „Smart board“, სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას“ ფორმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე, „HP MFD“ - ტიპის ფერადი ასლგადამღები დანადგარი;

- ✓ უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi. უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი 125-ზე მეტი IP ტელეფონით. უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს სამი ერთეული თანამედროვე სერვერი, მის ტერიტორიაზე კი დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco“-ს და „Nortel“-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.) - ჯამში 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.

საბიბლიოთეკო რესურსები

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო დანიშნულების, დახურული ტიპის სტრუქტურული ერთეული. აქ დაცულია ქართული და უცხოური, ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემები, რომლებიც განკუთვნილია სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. უნივერსიტეტის ეს ნაწილი აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე მკითხველისათვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად. ბიბლიოთეკაში არის კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო ბეჭდური თუ ელექტრონული ლიტერატურა. სტუდენტებს წვდომა აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზეც:

1. EBSCO HOST

- Academic Search Elite
- International Security & Counter Terrorism Reference Center
- Business Source Elite
- Regional Business News
- ERIC
- MasterFILE Elite
- Library, Information Science & Technology Abstracts
- MEDLINE
- Health Source: Nursing/Academic Edition
- Health Source – Consumer Edition
- AHFS Consumer Medication Information

2. ScienceDirect

3. Scopus
4. Sci-val Funding(Funding Institutional)
5. HeinOnline
6. Taylor and Francis
7. Math Scientific Publishing (MSP)-Journals

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი Koha. უნივერსიტეტში ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

კავკასიის მედიის სკოლის სტუდია

კავკასიის მედიის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის მოქმედებს კავკასიის მედიის სკოლის სტუდია. ეს სივრცე გათვალისწინებულია სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების უნარის გამოსამუშავებლად/გასაუმჯობესებლად. კომუნიკაციების სპეციალისტები უნდა ფლობდნენ სრულყოფილ ცოდნას, როგორც მუშაობს მედია (ფოტო/ვიდეო გადაღება, განათება, ხმა, მონტაჟი), როგორ ხდება გადაცემის ჩაწერა, მულტიკამერით გადაღება და პირდაპირ ეთერში მაუწყებლობა. ამ ცოდნასა და უნარებს სტუდენტები სრულყოფილად ეუფლებიან თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ მედიის სკოლის სტუდიაში.

სტუდიას ჰყავს მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია მის გამართულ მუშაობაზე და არსებული რესურსის სწორად გადანაწილებაზე, საკლასო და არასაკლასო დატვირთვების გეგმიურად გაწერაზე, პროცესის შეუფერხებელ ადმინისტრირებასა და ა.შ.

მედიის სკოლის სტუდია აღჭურვილია:

- 8 ერთეული ვიდეო კამერით;
- 16 ერთეული ფოტოაპარატით, რომელთაგანაც 10-ს აქვს ვიდეოგაღების ფუნქცია;
- 18 ერთეული შტატივით;
- 12 ერთეული დისტანციური და სამაგრიანი მიკროფონით;
- 3 ერთეული პროფესიონალური განათების სისტემით და 1 ერთეული რბილი განათების მოწყობილობით.
- აქსესუარებით: 1 ვიწრომომართული მიკროფონის კომპლექტით, სამაგრი, ანკესით, ქარსაფარით, ამრეკლითა და ა.შ. 1 ხმის მიქშერით, ფლიპკამერით, 7 ერთეული ხმის ჩამწერი დიქტოფონით.
- 4 ერთეული სამონტაჟო კომპიუტერით.

კავკასიის მედიის სკოლის სტუდია მოიცავს სატელევიზიო პავილიონს, “ნიუსრუმს”, სამონტაჟო და მედიის სკოლის სტუდენტურ პლატფორმას - ონლაინ რადიოს CSM, რომელიც 2015 წლიდან მაუწყებლობს ფონდ SIDA-სა და “ღია საზოგადოება საქართველოს” მხარდაჭერით.

მედიის სკოლის სატელევიზიო პავილიონი აღჭურვილია თანამედროვე სამაუწყებლო და ლაივ-

სტრუქტურის განკუთვნილი აპარატურით. მობილური ვიდეო სტუდია განთავსებულია 2 “კეისში” და შედგება შემდეგი დეტალებისგან: 5 არხიანი ვიდეო სერვერი პროგრამული უზრუნველყოფით; მონიტორი, უწყვეტი კვების წყარო, ვიდეო კაბელები 4 კამერისთვის, რაციების კომპლექტი, ყველა საჭირო აუდიო-ვიდეო კაბელი, აუდიო მიქშერი. მობილური ვიდეო სტუდიით შესაძლებელია მულტიკამერა გადაღება და მუშაობა: პირდაპირი ეთერის რეჟიმში, ინტერნეტრანსლაცია - ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით, ჩაწერა ინტეგრირებული აუდიო მიქშერით, გრაფიკული გაფორმება, ტიტრებით გაფორმება და ა.შ.

ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ზემოთ აღწერილი რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ. სტუდენტებს მედიის სკოლის სტუდიაში არსებული რესურსის გამოყენება შეუძლიათ კურიკულუმს მიღმა გეგმიურად მიმდინარე სტუდენტური პროექტების მომზადებისთვისაც.

კავკასიის მედიის სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

კავკასიის მედიის სკოლაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზების, სამეცნიერო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, 2019 წლის იანვარში კავკასიის მედიის სკოლაში ამოქმედდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. მისი ძირითადი ფუნქციებია: სამეცნიერო საგრანტო პროექტებზე მუშაობა; სამეცნიერო პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი; აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი სტატიების, სამეცნიერო ნაშრომების რედაქტირებისა და გამოქვეყნების ორგანიზება კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების ჟურნალში/პუბლიკაციების კრებულში; საერთაშორისო სტუდენტურ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის ორგანიზება; სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა და ორგანიზება/ჩატარება; სამეცნიერო-კვლევით ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც კავკასიის მედიის სკოლის დებულების მიხედვით, დეკანის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას განაპირობებს პროგრამის ბიუჯეტი, რომლის შემუშავებაშიც ჩართულნი არიან: კავკასიის უნივერსიტეტის ფინანსური დეპარტამენტი, კავკასიის მედიის სკოლის ადმინისტრაცია და მოცემული პროგრამის ხელმძღვანელები. ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტუდენტებისგან მისაღები შემოსავალი და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯი. ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ მონაცემებს. მათ შორის არის: სწავლება-სწავლის ხარჯი, კვლევითი კომპონენტი, განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, აკრედიტაცია-ავტორიზაცია და ა.შ. უფრო დეტალურად, მონაცემებში იგულისხმება:

- სწავლებისთვის საჭირო საკონტაქტო საათები;
- სასწავლო საგნების რაოდენობა (ჩამოიღება სავალდებულო, არჩევითი, უცხო ენა);
- სალექციო საათების ანაზღაურება;
- სწავლების პროცესში სტუდენტის მატერიალური მხარდაჭერა;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯი;
- პროგრამის განვითარება/აკრედიტაცია/ინტერნაციონალიზაციის ხარჯი;

➤ პროგრამის მანძილზე დასაშვებია გათვალისწინებული ხარჯი.

ასევე, პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც ემსახურება მინიმალური სტუდენტთა რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება ხდება ცვლილების შესაბამისად.

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმათლებლო პროგრამა ფინანსურად მომგებიანია, ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი ფინანსური რესურსის გამოყოფა სრულად არის მიღწევადი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური მხარდაჭერა წარმოდგენილ პროგრამას აქვს კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი			
				I		II	
				E ECTS კრედიტი			
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი							
1	PSYC 5131	არ აქვს	კომუნიკაციის ფსიქოლოგია	6			
2	MARK 5230	არ აქვს	მარკეტინგი	7			
3	MENG 5230	არ აქვს	მენეჯმენტის კონცეფციები: თეორია და პრაქტიკა	6			
4	MARK 5330	MARK 5230	ბრენდის შექმნა და მართვა		6		
5	PR 5234	არ აქვს	CSR და ორგანიზაციული კომუნიკაცია		6		
6	PR 5132	არ აქვს	სტრატეგიული კომუნიკაცია		7		
7	MARK 5231	არ აქვს	ციფრული კომუნიკაცია	6			
8	MENG 5130	MENG 5230	პროექტების მართვა		6		
9	PR 5331	არ აქვს	კრიზისული კომუნიკაციის მართვა			6	
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი							
10	COMM 5231	არ აქვს	ვიზუალური კომუნიკაცია		5		
11	DATA 5231	არ აქვს	მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია		5		
12	ADV 5230	MARK 5230	რეკლამის თეორია და პრაქტიკა			6	
13	PR 5133	PR 5132	პოლიტიკური კომუნიკაცია			6	

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი				
				I		II		
				E ECTS კრედიტი				
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	
14	MCOM 5330	არ აქვს	ინტერკულტურული კომუნიკაცია			6		
15	STRC 5230	არ აქვს	საინფორმაციო ოპერაციები და სტრატ. კომუნიკაცია			6		
16	PR 5134	არ აქვს	მედიასთან ურთიერთობა			6		
17	PR 5230	არ აქვს	ლონისძიებების დაგეგმვა და მართვა			6		
18	MARK 5131	არ აქვს	ბრენდის ჟურნალისტიკა			6		
19	JRMA 0001	არ აქვს	საველე პრაქტიკა			6		
თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო)								
20	GEO 5130	არ აქვს	აკადემიური წერა	5				
21	MCOM 5131	GEO 5130	კვლევის მეთოდები და კვლევები მედიაში			6		
კვლევის მოდული (სავალდებულო)								
22	MCOM 5331	MCOM 5131	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა				30	
ECTS კრედიტები				სემესტრში	30	30	30	30
				წელიწადში	60		60	
საგნების\მოდულების რაოდენობა წელიწადში				10 საგანი		5 საგანი და სამაგისტრო ნაშრომი		

შენიშვნა:

თავისუფალი კრედიტების სისტემა:

სტუდენტთა აკადემიური ინტერესის უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნითა და პროფესიულ ინდუსტრიასთან კავშირის გასაძლიერებლად კავკასიის მედიის სკოლა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, რომ სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის საჭირო 120 ECTS კრედიტიდან 12 დააგროვოს თავისუფალი, 6 კი საველე პრაქტიკის გზით. ამისთვის სტუდენტს შეუძლია:

- არჩევითი საგნების ნაცვლად გაიაროს მისთვის საინტერესო საგნები კავკასიის უნივერსიტეტის სხვა სკოლებში, ან პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებში, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, წინარეკვიზიტის დაცვით – მაქსიმუმ 12 ECTS კრედიტი;
- არჩევით სასწავლო კურსად გაიაროს საველე პრაქტიკა მისთვის საინტერესო ორგანიზაციაში - მაქსიმუმ 6 ECTS კრედიტი.

პროცედურა ასეთია: საველე პრაქტიკის მასპინძელი ორგანიზაციის შერჩევისას ან შერჩეულ ორგანიზაციებს კავკასიის მედიის სკოლა მიმართავს თხოვნით, მიიღოს სტუდენტი პრაქტიკაზე/სტაჟირების პროგრამაზე; ან თავად დამსაქმებელი გამოთქვამს ინტერესს, პრაქტიკა/სტაჟირების პროგრამა გაატაროს კავკასიის მედიის სკოლის სტუდენტს; ან სტუდენტი თავად არჩევს მიმღებ ორგანიზაციას. ნებისმიერ შემთხვევაში, საბოლოო შეთანხმება საველე პრაქტიკის შესახებ კავკასიის მედიის სკოლის სტუდენტსა და მის დამქირავებელს შორის დგება სკოლის გავლით და მისი ნებართვის საფუძველზე. დამქირავებლები, რომელთაც სურთ, კავკასიის მედიის სკოლის სტუდენტებს საველე პრაქტიკა/სტაჟირების პროგრამა შესთავაზონ, კავკასიის მედიის სკოლას აწვდიან ინფორმაციას თავიანთი ორგანიზაციის შესახებ. კერძოდ, შეთავაზებული სამუშაოს და მის შესასრულებლად საჭირო კვალიფიკაციის აღწერას, სამუშაო ვადებისა და პირობების დეტალურ დახასიათებას. კავკასიის მედიის სკოლა იხილავს ყოველ ასეთ შემთავაზებას, რათა დაადგინოს, რამდენად შეესაბამება ის სკოლის აკადემიურ ამოცანებს. დასტურის შემდეგ სტუდენტი რეგისტრირდება საველე პრაქტიკაზე და მიმღები ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას: განსაზღვროს საველე პრაქტიკის პირობები, სამუშაო გრაფიკი და შრომის ანაზღაურება (თუკი ასეთი გათვალისწინებულია); მიამაგროს სტაჟიორს ზედამხედველი, ცოდნით იმ კონკრეტულ სფეროში, რომელშიც სტუდენტი პრაქტიკას გადის; უზრუნველყოს სტაჟიორისთვის დავალებების შესასრულებლად საჭირო სამუშაო სივრცე და აღჭურვილობა. ზედამხედველი პასუხისმგებელია სტუდენტის შრომისა და ტრენინგის მონიტორინგზე. საველე პრაქტიკა გავლილად ჩათვლება იმ სტუდენტს, ვინც მინიმუმ 150 საათის განმავლობაში იმუშავებს, დადგენილ ვადებში დაასრულებს დავალებებს და სკოლას ჩააბარებს პრაქტიკის ზედამხედველის მიერ შევსებულ სტუდენტის შეფასების ფორმას.

საველე პრაქტიკა სტუდენტს შეუძლია გაიაროს ერთხელ, III სემესტრში (მას შემდეგ, რაც დახურავს I-II კურსების საგნებს), როგორც სწავლის პერიოდში, ასევე ზაფხულის განმავლობაში. სტუდენტს ასევე, აქვს შესაძლებლობა საველე პრაქტიკის ფარგლებში მითითებული სემესტრის განმავლობაში პრაქტიკულად, პროფესიული პროფილით იმუშაოს კავკასიის უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული

ერთეულისთვის, ან კავკასიის მედიის სკოლის სხვადასხვა სტუდენტური პლატფორმის, პრაქტიკული და კვლევითი პროექტისთვის. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს ზემოაღწერილი პროცედურა.

საველე პრაქტიკასთან დაკავშირებული ფორმები მოცემულია დანართში.

საგნის კოდი	საგნის დასახელება	პრერეკვიზიტი სასწავლო კურსები	კრედიტსაათები ჯამში	ECTS კრედიტი	
FRMJ 0001	თავისუფალი კრედიტი 1	შერჩეული საგნის წინარეკვიზიტი	150	6	ჯამში მაქსიმუმ 12 ECTS კრედიტი
FRMJ 0002	თავისუფალი კრედიტი 2	შერჩეული საგნის წინარეკვიზიტი	150	6	
JRMA 0001	საველე პრაქტიკა 1 ¹	I-II სემესტრების ყველა საგანი	150	6	ჯამში მაქსიმუმ 6 ECTS კრედიტი

¹ დეტალები: პროცედურა, მიზნებისა და შედეგების, მოთხოვნების, შეფასების პროცესი აღწერა იხილეთ საველე პრაქტიკის დანართსა და სილაბუსში.

პროგრამის საათობრივი გაანგარიშება

№	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი/სთ	საკონტაქტო საათები				დამოუკიდ. საათები
			ლექცია	სემინარი	შუალედური და დასკვნითი გამოცდა	პრეზენტაცია	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოცდებისათვის მზადება
1.	აკადემიური წერა	5	14	10	4	2	95
2.	კომუნიკაციის ფსიქოლოგია	6	15	9	4	2	120
3.	სტრატეგიული კომუნიკაცია	7	15	9	4	2	145
4.	მარკეტინგი	7	15	11	4	0	145
5.	მენეჯმენტის კონცეფციები: თეორია და პრაქტიკა	6	15	9	4	2	120
6.	ბრენდის შექმნა და მართვა	6	18	6	4	2	120
7.	CSR და ორგანიზაციული კომუნიკაცია	6	15	9	4	2	120
8.	ციფრული კომუნიკაცია	6	15	9	4	2	120
9.	პროექტების მართვა	6	15	9	4	2	120
10.	ვიზუალური კომუნიკაცია (არჩევითი)	5	12	10	4	4	95
11.	მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია (არჩევითი)	5	14	10	4	2	95
12.	კვლევის მეთოდები და კვლევები მედიაში	6	18	8	4	0	120
13.	კრიზისული კომუნიკაციების მართვა	6	15	9	4	2	120
14.	რეკლამის თეორია და პრაქტიკა (არჩევითი)	6	15	9	4	2	120
15.	პოლიტიკური კომუნიკაცია (არჩევითი)	6	15	9	4	2	120
16.	ინტერკულტურული კომუნიკაცია (არჩევითი)	6	15	9	4	2	120
17.	საინფ. ოპერაციები და სტრატ. კომუნიკაცია (არჩევითი)	6	15	9	4	2	120
18.	მედიასთან ურთიერთობა (არჩევითი)	6	15	9	4	2	120
19.	ბრენდის ჟურნალისტიკა (არჩევითი)	6	15	9	4	2	120
20.	დონისძიებების დაგეგმვა და მართვა	6	15	9	4	2	120
21.	საველე პრაქტიკა (არჩევითი)	6	ველზე მუშაობა - 130 ანგარიშის მომზადება და მისი წარდგენა წერილობითი და ვერბალური პრეზენტაცია - 20				
22.	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	30	სემინარი - 30 საათი დამოუკიდებელი მუშაობა - 720 საათი კონსულტაცია - 5 საათი				

სწავლის შედეგების რუკა

№	სასწავლო კურსი	შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6
1.	აკადემიური წერა		X		X	X	
2.	კომუნიკაციის ფსიქოლოგია	X		X			X
3.	ციფრული კომუნიკაცია	X		X			
4.	მარკეტინგი	X		X		X	
5.	მენეჯმენტის კონცეფციები: თეორია და პრაქტიკა				X		X
6.	ბრენდის შექმნა და მართვა	X		X		X	
7.	CSR და ორგანიზაციული კომუნიკაცია	X			X		X
8.	სტრატეგიული კომუნიკაცია	X	X		X	X	X
9.	პროექტების მართვა		X		X		
10.	ვიზუალური კომუნიკაცია		X	X	X		
11.	მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია		X		X		
12.	კვლევის მეთოდები და კვლევები მედიაში			X		X	
13.	კრიზისული კომუნიკაციების მართვა		X	X	X	X	
14.	რეკლამის თეორია და პრაქტიკა	X			X		
15.	პოლიტიკური კომუნიკაცია	X		X			X
16.	ინტერკულტურული კომუნიკაცია			X			X
17.	საინფორმაციო ოპერაციები და სტრატეგიული კომუნიკაცია	X		X		X	
18.	მედიასთან ურთიერთობა		X	X			
19.	ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა		X	X			
20.	ბრენდის ჟურნალისტიკა	X	X				
21.	საველე პრაქტიკა		X	X	X		X

**საგანმანათლებლო პროგრამის
პროფესორ-მასწავლებელთა რესურს-ბაზა**

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1	ქეთევან ინწკირველი	ასისტენტ-პროფესორი	აკადემიური წერა
2	ირინე ტაბუციძე	ასოცირებული პროფესორი	კომუნიკაციის ფსიქოლოგია
3	ბერდია ნაცვლიშვილი	მოწვეული ლექტორი	სტრატეგიული კომუნიკაცია
4	ანა გოგიჩაძე	მოწვეული ლექტორი	მარკეტინგი
5	მაია გიორბელიძე	მოწვეული ლექტორი	მენეჯმენტის კონცეფციები: თეორია და პრაქტიკა
6	ელენე ჯღარკავა	ასოცირებული პროფესორი	ბრენდის შექმნა და მართვა
7	სოფიო კვინტრაძე	ასოცირებული პროფესორი	CSR და ორგანიზაციული კომუნიკაცია; ბრენდის ჟურნალისტიკა
8	მარიამ ბაჯელიძე	მოწვეული ლექტორი	ციფრული კომუნიკაცია
9	ნინო გორგაძე	მოწვეული ლექტორი	პროექტების მართვა
10	ნინო ჟიჟილაშვილი	პროფესორი	ვიზუალური კომუნიკაცია <i>კურსი მიმდინარეობს მოწვეულ ლექტორებთან თამარ რობაქიძესა და მიხეილ კოტეტიშვილთან ერთად</i>
11	თამარ რობაქიძე	მოწვეული ლექტორები	ვიზუალური კომუნიკაცია <i>კურსი მიმდინარეობს პროფესორ ნინო ჟიჟილაშვილთან ერთად</i>
12	მიხეილ კოტეტიშვილი		
13	გიორგი დათუკიშვილი	პროფესორი	მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია
14	თინათინ ბასილაშვილი	მოწვეული ლექტორი	კვლევის მეთოდები და კვლევები მედიაში
15	გიორგი კალატოზიშვილი	მოწვეული ლექტორი	კრიზისული კომუნიკაციების მართვა
16	ნიკოლოზ ნერგაძე	მოწვეული ლექტორი	რეკლამის თეორია და პრაქტიკა
17	ირინე კურტანიძე	მოწვეული ლექტორი	პოლიტიკური კომუნიკაცია
18	ირინე ცინცაძე	პროფესორი	ინტერკულტურული კომუნიკაცია
19	თინათინ ხიდაშელი	მოწვეული ლექტორი	საინფორმაციო ოპერაციები და სტრატეგიული კომუნიკაცია
20	ელდარ პირმისაშვილი	მოწვეული ლექტორი	ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა
21	სალომე მოდებაძე	მოწვეული ლექტორი	მედიასთან ურთიერთობა კურსი მიმდინარეობს ასოცირებულ პროფესორ ნატო ასათიანთან ერთად
22	ნატო ასათიანი	ასოცირებული პროფესორი	მედიასთან ურთიერთობა <i>კურსი მიმდინარეობს მოწვეულ ლექტორ სალომე მოდებაშესთან ერთად</i>